პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 ნოემბერი, შაბათი, 1987 წ.
№ 224 (9635) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ● საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა

25 წლის შემდეგ თბილისი კვლავ უმასპინძლებს კლასიკურ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს. ეს შეჯიბრება ჩატარდება 1988 წლის 19-24 იანვარს სპორტის სასახლეში. გაიმართა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პირველი სხდომა, რომელზედაც გადაწყდა მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ომარ ვარძელაშვილმა.

### წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

## ყველაზე სტაბილური



ჩვენი გაზეთის 18 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა სარედაქციო მოწოდება — („წარმოგიდგენთ კანდიდატებს“), რომელშიც მკითხველებს ვთხოვდით აქტიური მონაწილეობა მიეღოთ და დაგვხმარებოდნენ 1987 წლის საუკეთესო სპორტსმენის, გუნდისა თუ მწვრთნელის გამოვლენაში. გულშემატკივართა წერილებმა დაგვარწმუნა, რომ სპორტის მოყვარულები მართლაც დაინტერესებული არიან მოსალოდნელი კენჭისყრით. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მათი წინადადებები თითქმის ყოველთვის რედაქციის აზრს ემთხვევა. ეს წერილებიც, რომლებსაც დღეს გთავაზობთ, ამის დასტურია.

**„მე, როგორც ქართული სპორტის ერთ-ერთ გულშემატკივარს, მსურს გამოგეხმაუროთ და გაგიზიაროთ რამდენიმე პირადი მოსაზრება. — გვწერს თბილისელი ბურამ რუხაძე. — ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა მიღწევები სასტენდო სროლაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. თემურ მატოიანი, ტარიელ ულენტი, თამაზ იმნაიშვილი, გია შენგელია... ეს გვარები ხშირად ჩანდა საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებისადმი მიძღვნილ მასალებში, საგაზეთო გამოხმაურებებში, ინფორმაციებში, თუმცა ეს ჩემზე უკეთ იცით, მე კი ჩემს გულისტკივილს მოგახსენებთ.**

იხ. მე-4 გვ.

### სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 47-ე ჩემპიონატი

## ლიდერებს დაეწია

**საბჭოთა** კავშირის მოჭადრაკე ქალთა 47-ე ჩემპიონატზე უკომპრომისო ბრძოლა გაიმართა გადადებულ პარტიებში. გთავაზობთ შედეგებს: სოფიევა — სახატოვა — 1:0 (XII ტური), ლელჩუკი — ზაიცევა — 1:0 (XIII ტური), ლიტინსკაია— გალიამოვა — 0:1 (XV ტური).

ზოია ლელჩუკმა 9 ქულა მოაგროვა, დაეწია გურიელსა და ეიდელსონს და ახლა მათთან ერთად იყოფს IV-VI ადგილს.

სატურნირო ცხრილის სათავეში კი არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები: ნანა იოსელიანი — 11 ქულა, ქეთევან არახამია და ელენა ახმილოვსკაია — 10,5-10,5.

## გუშინ...

**გთავაზობთ XVI ტურის იმ პარტიების ტექნიკურ შედეგებს, რომლებიც გაზეთის დაბეჭდვამდე დამთავრდა: სტრუტინსკაია — იოსელიანი — 0:1, შაფრანსკა — ჩელუშკინა — 1:0, სოფიევა — ველიხანლი — 0:1, არახამია — ეიდელსონი — 0:1, მატვეევა — სახატოვა — 0:1, ლიტინსკაია — ლელჩუკი — 1:0, გალიამოვა — ახმილოვსკაია — 0:1.**

### სტუმრად მარნეულში




თბილისის ჭადრაკის სასახლეში მთავრდება სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 47-ე ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობს თითქმის ყველა გამოჩენილი საბჭოთა მოჭადრაკეები — საერთაშორისო დიდოსტატები, საერთაშორისო ოსტატები, სსრ კავშირის სპორტის ოსტატები.

ჩემპიონატის მონაწილეები თამაშისაგან თავისუფალ დღეებში ეწვივნენ მარნეულის რაიონის მშრომელებს. ისინი ინტერესით გაეცვნენ რეგიონის ღირსშესანიშნაობებს. მოჭადრაკეებმა ისაუბრეს თავიანთი გეგმების შესახებ, უპასუხეს ამ უძველესი თამაშის მოყვარულთა შეკითხვებს.

სოფელ სადახლოს კულტურის სახლში ერთდროული თამაშის სეანსები გამართეს საერთაშორისო დიდოსტატმა, ქვეყნის უძლიერესი მოჭადრაკე ქალის ტიტულის ახლანდელმა მფლობელმა ნანა იოსელიანმა, აზერბაიჯანელმა მოჭადრაკეებმა, სსრ კავშირის სპორტის ოსტატებმა აინურ სოფიევამ და ფირუზა ველიხანლიმ.

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ერთდროული თამაშის სეანსებს ატარებენ — მარცხნიდან: ფ. ველიხანლი, ნ. იოსელიანი და ა. სოფიევა (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

### თბილისის დინამოელები სოხუმში

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა სოხუმში ამხანაგური საწვრთნელი მატჩი გამართეს ადგილობრივ თანაკლუბელებთან. ანგარიშით 4:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა. ბურთები გაიტანეს შენგელიამ — 2, სვანაძემ და ფანცულაიამ — თითო.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია (ჭანტურია, 60), კეტაშვილი, ჩივაძე, სულაქველიძე, სვანაძე, რევიშვილი (ფანცულაია, 46), ცვეიბა, კაკილაშვილი, კორდაიძე, გურული (ქეცბაია, 60), შენგელია.

### სიახლეთა ესტაფეტა

**ტიუმენიდან** ნოვო ურენგოის მიმართულებით 14 ნოემბერს გავიდა აგიტმატარებელი „მოლოდოგვარდეეცი“, რომელიც 8 ქალაქს გაივლის. აგიმატარებლის წევრები ეწვევიან გაზისა და ნავთობის მომპოვებელი კომპლექსების ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს, გადასცემენ მათ სპორტულ ფორმას და ინვენტარს. მატარებლის ერთი ვაგონი სპორტულ მაღაზიას ეთმობა, რამდენიმე ვაგონი გადაკეთებულია სპორტულ დარბაზად, დადგმულია ტრენაჟორები, არის აგრეთვე კლუბი ვიდეოსალონით.

ამ კარგი ღონისძიების თაოსანია საკავშირო პროფსაბჭო, ალკკ საკავშირო ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სპორტსახკომი.



### სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

## ჩემპიონი ვადამდე

მოსკოვსა და ხარკოვში დაიწყო უმაღლესი ლიგის წყალბურთელეთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები. მოსკოვში ასპარეზობენ საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდები: დედაქალაქის „დინამო“ და „უნივერსიტეტი“, ალმა-ათის, ლვოვისა და თბილისის „დინამო“, აგრეთვე ცსკ ვმფ.

გთავაზობთ შეხვედრების შედეგებს: „დინამო“ (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი“ — 8:9 (3:1, 2:4, 1:4, 2:0); „დინამო“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (ლვოვი) — 13:8 (3:2, 3:1, 3:2, 4:3); „დინამო“ (თბილისი) — ცსკ ვმფ — 5:11 (1:4, 1:0, 1:2, 2:5); „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ლვოვი) — 12:13 (2:2, 3:3, 3:4, 4:4; „უნივერსიტეტი“ — ცსკ ვმფ — 7:7 (2:2, 3:1, 1:3, 1:1).

გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვისა და ალმა-ათის დინამოელთა 19 ნოემბრის მატჩს. მოსკოველებმა ეს შეხვედრა დიდი ალმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს 7:3 (0:0, 0:1, 4:1, 3:1). მოსკოვის „დინამომ“ გათამაშების დამთავრებამდე სამი ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი. იგი საბჭოთა კავშირის თერთმეტგზის ჩემპიონია.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკოვი) | 24 | 20 | 2 | 2 | 271-169 | 42 |
| „დინამო“ (ალმა-ათა) | 24 | 16 | 3 | 5 | 223-185 | 35 |
| „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) | 24 | 15 | 5 | 4 | 219-167 | 35 |
| ცსკ ვმფ | 24 | 15 | 4 | 5 | 223-178 | 34 |
| „დინამო“ (ლვოვი) | 24 | 14 | 5 | 5 | 248-230 | 33 |
| „დინამო“ (თბილისი) | 24 | 10 | 2 | 12 | 192-202 | 22 |

### მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში

## ჯერ მხოლოდ ერთი ოქროს მედალი

**დასავლეთ** გერმანიის ქალაქი ესენი, სადაც ამჟამად ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს, საბჭოთა სპორტსმენებს კარგად აქვთ დაცდილი. აქ 1962 წელს ჩვენმა მოჭიდავეებმა პირველად სცადეს ძალა ევროპის ჩემპიონატში და თვალსაჩინო წარმატებასაც მიაღწიეს. ორი მათგანი ანზორ ქიბროწაშვილი და ანზორ კიკნაძე კონტინენტის ჩემპიონი გახდა.

ქიბროწაშვილი ახლაც ესენშია, ოღონდ ორთაბრძოლებს მსაჯობს. მან ძიუდოს სხვა სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ფედერაციის კონგრესში, რომელმაც თანამედროვე ძიუდოს საჭირბოროტო საკითხები განიხილა. მოეწყო ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებიც. ძველი პრეზიდენტის სიგესი მაცუმაეს (იაპონია) ნაცვლად ამ პოსტზე არგენტინელი სარქის კალოგლიანი აირჩიეს. კონგრესის გადაწყვეტილებით მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი 1989 წელს ბელგრადში ჩატარდება.

ახლა ჩემპიონატის შესახებ, რომელმაც ძიუდოს მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

პირველ დღეს ოქროს მედლები ტრადიციულად ორ წონაში (მძიმე და ქვემძიმე) გათამაშდა. საბჭოთა ძიუდოისტებმა სასტარტო შეხვედრები წარმატებით ჩაატარეს. ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა გრიგორი ვერიჩევმა (მძიმე წონა) წმინდად მოუგო ტუნისელ ბაშირ ჰიარის. დროზე ადრე დაამთავრა ბრძოლა ევროპის ჩემპიონმა კობა კურტანიძემაც (95 კგ). მან იტალიელი იური ფაცი დაამარცხა.

კურტანიძემ მომდევნო ბრძოლებიც მოიგო, მაგრამ მეოთხე წრეში დამარცხდა და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას გამოეთიშა. ქვემძიმე წონაში ჩემპიონის სახელი იაპონელმა ხიტოსი სუგაიმ შეინარჩუნა, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ჰოლანდიელ ტეო მეიერს აჯობა, ბრინჯაოს მედლები აქ ბრაზილიელმა აურელიო მიგელმა და სამხრეთკორეელმა ხომ ჯუ ხამ დაისაკუთრეს.

ვერიჩევმა კი... თავისი ბრწყინვალე გამოსვლებით მოხიბლა მაყურებელი. ფინალში მისი მეტოქე იყო ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი ეგვიპტელი მოჰამედ რაშვანი. გამარჯვება ამჯერად 30 წლის ჩელიაბინსკელ გრიგორი ვერიჩევს ხვდა, რომელსაც გადაეცა ოქროს მედალი.

* * *

აქ პარალელურად ტარდება ქალთა მსოფლიო ჩემპიონატიც. პირველ ორ წონაში გამარჯვება მოიპოვეს ჩინელმა ფენლენ გაომ (მძიმე წონა) და ჰოლანდიელმა ირენე დე კოკმა ( 72 კგ).




# დღეს

თბილისის ცირკის არენაზე.

რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქის უბნებს შორის ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე პირადგუნდური რესპუბლიკური შეჯიბრების მეორე ტურია.

ერთმანეთს ხვდებიან: მეტეხი (კასპი) — ერედვი (ცხინვალი), ჭანდარი (გურჯაანი) — ნორიო (გარდაბანი).

დასაწყისი 12 საათზე.

### წყალსათხილამურო სპორტი: გუშინ, დღეს, ხვალ...

# თუ საქმეს ბოლომდე არ მივდიეთ...

**ბავშვობაში** ნასწავლი ლექსი რომ მოწიფულობაში დაგვავიწყდება, ისე დაგვემართა. როცა ჩვენს ქვეყანაში პირველი წყალმოთხილამურეები გამოჩნდნენ, სხვებს არც ჩვენ ჩამოვრჩით, სიახლე ავიტაცეთ და მალე პირველი წარმატებებიც ვიზეიმეთ, მაგრამ დაახლოებით 20 წლის შემდეგ, სხვები რომ საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონატებში მოპოვებული ჯილდოებით იწონებდნენ თავს, ჩვენ ყველაფერი თავიდან დასაწყები გაგვიხდა — ტრადიციებიც დავივიწყეთ და აღარც წყალმოთხილამურეები გვყავდა.

კვლავ კარგად დავიწყეთ. ოთხიოდე წლის წინათ ჩამოყალიბდა საქართველოს პროფსაბჭოს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური წყალსათხილამურო სკოლა, ფოთში აშენდა ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო ბაზა, გამოჩნდნენ ნიჭიერი მოზარდები. წარსულის შეცდომები, რა თქმა უნდა, აღარ განმეორდება; ეს გამორიცხულია, მაგრამ ამჯერად სხვა საფიქრალი გაგვიჩნდა: პროფსაბჭოს სკოლის გარდა, საქართველოში არც ერთი სპორტული საზოგადოება და უწყება არ კიდებს ხელს წყალსათხილამურო სპორტის დანერგვასა და განვითარებას, ერთი სკოლის კოლექტივს კი, თავდადებითაც რომ იმუშაოს, გაუჭირდება მარტომ ზიდოს ამოდენა ტვირთი.

ამას წინათ გაიმართა საქართველოს მორიგი ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში. დღემდე ჩატარებულ ჩემპიონატებში ერთი და იგივე სპორტსმენები, ძირითადად ამ სკოლის ფოთელი აღსაზრდელები მონაწილეობდნენ და კვარცხლბეკის სამივე საფეხურს ისინი იკავებდნენ. ამიტომ სკოლის დირექტორს გია გოგოძეს ასეთი კითხვა დავუსვით:

**⊙ წლევანდელ ჩემპიონატში, ალბათ, ისევ პეტრუხინმა, კორკელიამ და სხვა ფოთელმა სპორტსმენებმა იმარჯვეს.**

— გენადი პეტრუხინი და ხათუნა კორკელია ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ლიდერები არიან. მათ მრავალჭიდში გამარჯვება, ცხადია, არ გასჭირვებიათ, მაგრამ მათთან და მათ ქალაქელებთან, გიორგი სურგულაძესთან, ანჟელა და ვიკა ბესელიებთან ერთად ცალკეულ სახეობებში კვარცხლბეკზე უხმეს ჩვენი სკოლის თბილისელ აღსაზრდელებსაც — ეკა ბაბუნიძეს და ზაალ ქაჯაიას. ბაბუნიძემ მესამე ადგილი დაიკავა სლალომში, ქაჯაიაც მესამე იყო ფიგურულ ციგურაობაში.

**⊙ საინტერესო სიახლეა, მაგრამ რესპუბლიკური ჩემპიონატის შედეგებზე მეტად დღეს საქართველოს პროფსაბჭოს წყალსათხილამურო სკოლის პერსპექტივები უფრო გვაინტერესებს. მიგვიხვდებით, რატომაც: საქართველოს ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში ხომ ფაქტიურად თქვენი სკოლის აღსაზრდელთა ჩემპიონატია. დრო გადის, თქვენი კონკურენტები კი არ ჩანან.**

— სანამ პერსპექტიულ გეგმებს გაგაცნობდეთ, პრობლემებზე ვიტყვი — მოსაგვარებელი საკითხებიც ხომ პერსპექტიული გეგმის ნაწილია. ამბობენ, რომ ფოთის წყალსათხილამურო ბაზა „აია", სადაც ჩვენი სკოლის ფოთელი მოსწავლეები ვარჯიშობენ, ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში. სამართლიანი შეფასებაა, მაგრამ თუ საქმეს ბოლომდე არ მივდიეთ, საფიქრალი არ დაგველევა. რას ვგულისხმობ? ფოთის საოკეანო ხევზჭერის სამმართველო ბაზაზე საბუქსირო ელექტრომოწყობილობის დამონტაჟებას დაგვპირდა. ძირითადი სამუშაოები შესრულებულია, გასაკეთებელი ბევრი აღარაფერი დარჩა, მაგრამ საქმე ჯერ გაზაფხულისთვის გადადეს, მერე შემოდგომისთვის და საბუქსირო მოწყობილობა დღესაც არ მოქმედებს. „კოლხიდმშენის" მეშვიდე მოძრავმექანიზებული კოლონის მუშაკებმა „ოქროს ტბის" გაფართოება დაიწყეს და... შეჩერდნენ. არადა, რომ იცოდეთ, რამდენად წინ წაგვწევდა საბუქსირო მოწყობილობის ამოქმედება და არხის გაფართოება. ფოთში წყალსათხილამურო სპორტის დაუფლების მსურველთა ანუ ჩვენი სკოლის მოსწავლეთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. მოზღვავებულ მსურველთა და მწვრთნელთა მიერ შერჩეული მოზარდების კატარღით გამოცდა და ვარჯიში ძალიან ძნელი, შრომატევადი საქმეა, დროც დიდი მიაქვს და საწვავიც ბევრი იხარჯება. საბუქსირო მოწყობილობის ამუშავება საქმეს გააიოლებს, საწვრთნელი პროცესი უფრო ეფექტური და ინტენსიური გახდება, საწვავიც დაიზოგება. თუ არხიც გაფართოვდება, ორჯერ მეტ ბავშვს ვავარჯიშებთ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წყალსათხილამურო ბაზა ფოთის გარეუბანში, მალთაყვის ტყე-პარკის მიდამოებში აშენდა, ბავშვებს უჭირთ იქ მისვლა, ამიტომ ურიგო არ იქნება თუ „აიას" გამოუყოფენ ერთ ავტობუსს, რომელიც მოზარდებს მგზავრობას გაუიოლებს.



**⊙ პერსპექტიულ გეგმას გაგაცნობთო, ფქვით...**

— თბილისით დავიწყოთ, რადგან დედაქალაქს, სადაც მეტი შესაძლებლობაა, მეტი მოეთხოვება. თბილისში ამჟამად 16 თანრიგოსანი სპორტსმენი გვყავს. ქალაქის მე-5 საშუალო სკოლიდან მოვიწვიეთ ორმოცდაათი ბავშვი, რომლებიც ახლა საერთო ფიზიკურ მომზადებას იუმჯობესებენ. მალე მათ ცურვას ვასწავლით და საჩვენებელ შეჯიბრებებში შერჩეულთ გაისად თხილამურებზე დავაყენებთ. თბილისელი წყალმოთხილამურეების წვრთნას ხელმძღვანელობს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, დუბნელი მიხეილ ვესელოვი. ვინაიდან საქართველოს პროფსაბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს თბილისის ზღვის საწყლოსნო ბაზა კეთილმოუწყობელია, საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ესაჭიროება, თანაც ის ყურე, სადაც ეს ბაზა მდებარეობს, გადატვირთულია და საწყლოსნო სტადიონის მოწყობა აქ პრაქტიკულად შეუძლებელია, წყალსათხილამურო სპორტის საკავშირო და რესპუბლიკურმა ფედერაციებმა თხოვნით მიმართეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, კრწანისის ტყე-პარკის მიდამოებში არსებული ორი ტბორის გაერთიანებისა და აქ საწყლოსნო-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობის შესახებ, თუ ეს განხორციელდა, საშუალება მოეცემა ასობით თბილისელ მოზარდს შევასწავლოთ წყალსათხილამურო სპორტის ანბანი. საიმედო რეზერვსაც გავიჩენთ და თბილისელი სპორტსმენებიც თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილ ბაზას მიიღებენ. კარგი იქნება თუ თბილისელი სპორტსმენებიც მიიღებენ ისეთ კატარღას, როგორიც ფოთელებსა აქვთ, რადგან საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარება მხოლოდ უცხოური, საგანგებოდ წყალმოთხილამურეთათვის დამზადებული კატარღებით — „მასტერ-კრაფტით" ან „ბიოშით" შეიძლება. ყველაზე საინტერესო კი აი, რა გახლავთ: ჩვენი სკოლის საქმიანობით, უფრო სწორად, წყალსათხილამურო სპორტით, დაინტერესდა ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობა. ეს ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ წყალსათხილამურო სპორტი მასობრივი დასვენების საუკეთესო საშუალებაა. გამოითქვა მოსაზრება, თბილისის ზღვაზე, ლისის ტბაზე და კარსანის მიდამოებში მშენებარე ტურისტული ობიექტების ტერიტორიებზე მოეწყოს საწყლოსნო-გამაჯანსაღებელი კომპლექსები. აქ დამსვენებლებს საშუალება ექნებათ ისეირნონ წყლის თხილამურებით, ნიჩბიანი და აფრიანი ნავებით, ისწავლონ ცურვა. სხვათა შორის, გადავწყვიტეთ ჩვენი სკოლის ძალებითა და ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს დახმარებით, გაზაფხულდება თუ არა, კვირადღეობით თბილისის ზღვაზე და ლისის ტბაზე მოვაწყოთ „ღია კარის დღეები". ეს ჩვენი თანამშრომლობის პირველი ნაბიჯები იქნება.

**⊙ ფოთი და თბილისი. მარტო ამ ორ ქალაქს მოიცავს წყალსათხილამურო სპორტის განვითარების პერსპექტიული გეგმა?**

— პირველი მერცხლები რუსთავშიც გამოჩნდნენ. მათ წლევანდელ ჩემპიონატშიც მიიღეს მონაწილეობა. მომავალში განზრახულია მათთვის რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკში, ტბის სანაპიროზე აშენდეს თანამედროვე საწყლოსნო-გამაჯანსაღებელი კომპლექსი. შეგვეხმიანენ სოხუმელი ენთუზიასტებიც.

**⊙ ორი სიტყვა წყალმოთხილამურეების სპორტულ პერსპექტივებზეც გვითხარით.**

— კორკელია და პეტრუხინი ამჟამად საბჭოთა კავშირის ნაკრებში არიან მოწვეული და მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად იბრძვიან. ეს ჩემპიონატი გაისად, გაზაფხულზე გაიმართება ავსტრალიაში. სხვები საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე და ხალხთა X სპარტაკიადაზე გამოსასვლელად ემზადებიან.

**ესაუბრა თამაზ მიგრიაული.**

რედაქციაში რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონიდან ბევრი წერილი შემოვიდა ღია სპორტული მოედნების საკავშირო კონკურს-დათვალიერებასთან დაკავშირებით. მხოლოდ სამხრეთ ოსეთიდან არ მიგვიღია არავითარი ცნობა. აქ რამდენიმე დღის წინ, როგორც იქნა, დუმილი დაირღვა, მაგრამ...

**SOS**

## [illegible] საძებარი მოედნები

ხუთი თვე არც ისე ცოტა დროა მარტივი ტიპის მოედნის მოსაწყობად, მაგრამ ჩვენს ოლქში საკონკურსო ვადა (ივლისიდან ნოემბრამდე) ისე მიიწურა, რომ ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა. საქალაქო, რაიონულმა, საოლქო სპორტულმა კომიტეტებმა და პროფკავშირულმა ფიზკულტურულ-სპორტულმა საზოგადოებამ, სამწუხაროდ, საჭირო პრინციპულობა ვერ გამოიჩინეს. ეს მაშინ, როცა მთელს ოლქში სანთლით საძებარია ღია სპორტული მოედნები.

ქალაქ ცხინვალის ათობით საწარმო-დაწესებულებათაგან არცერთს, ემალსადენის ქარხნის გარდა, არა აქვს საკუთარი, თუნდაც უმარტივესი ტიპის მოედანი ან სპორტული დარბაზი. იგივე შეიძლება ითქვას ოლქის სამივე რაიონზე. ზნაურის რაიონში არ არის არც ერთი სპორტული დარბაზი (თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ სკოლას), ფეხბურთის მოედანი კი მხოლოდ ავნევშია. რაიონულ ცენტრში ძველი მოედანი იავარქმნილია, ახლისთვის მიწა კი გამოყვეს, მაგრამ სამუშაოდ ვერავინ მოიცალა.

ჯავაში, ფეხბურთის მოედანზე წყალსადენის მილები გადაატარეს და სამი წელია მისი აღდგენა ვერ ხერხდება. ჯავის რაიონის კვაისის მაღაროთსამმართველოს, მართალია, კარგად აღჭურვილი სპორტული დარბაზი აქვს, მაგრამ მაღაროელ ფეხბურთის მოყვარულთა თხოვნას მოედნის გამოყოფის თაობაზე ანგარიშს არავინ უწევს. სწორედ ამაზე იყო ლაპარაკი „სოვეტსკი სპორტის" 10 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ ბ. ზასეევის წერილში.

სპორტული ბაზების სიმრავლით ვერც ლენინგორის რაიონში არსებული საწარმო-დაწესებულებები და სპორტული კოლექტივები დაიკვეხნიან. სადაბო სტადიონი კი 1984 წლიდან დღემდე „დამთავრების სტადიაშია".

გასაკვირი არაა ასეთი სურათის შემყურე სპორტის ხელმძღვანელთა გულარხეინობა?! თუკი ზესტაფონის რაიონმა 19 ახალი სპორტული მოედნის აშენება შეძლო, მთელს ოლქში ორიოდე ფიზკულტურული კოლექტივის სპორტული ბაზით უზრუნველყოფა რატომ გაძნელდა?

მართალია, ორგან კი გამოიღეს ხელი, ღია სპორტული მოედნების მშენებლობა წამოიწყეს ავტოსაწარმოო გაერთიანებისა და ქალაქ ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, მაგრამ მშენებლობის ხელმძღვანელთა უნიათობის გამო, დღემდე ვერ მოხერხდა მათი მწყობრში ჩაყენება. ვერც სოფლტექნიკის რაიონულმა განყოფილებამ შეძლო სოფელ ქსუისში დაწყებული სპორტული მოედნის მშენებლობის ბოლომდე მიყვანა. მხოლოდ ქ. ცხინვალის პროფტექსასწავლებელმა გაიუმჯობესა მდგომარეობა. აქ 1 ნოემბერს ჩადგა მწყობრში მცირე ზომის სპორტული დარბაზი, მაგრამ იგი კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დარბაზად № 11 სამშენებლო ტრესტის საწყობის გადაკეთება 1 ივლისზე ადრე დაიწყეს.

ღია სპორტული მოედნების უქმარისობა, ცხადია, უშუალოდ ახდენს გავლენას ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მასობრიობაზე. სად, თუ არა ღია მოედნებზე, უნდა მიიღოს მოზარდმა ფიზკულტურული ნათლობა? ამის შემდეგ რატომ უნდა გვიკვირდეს ოლქის სპორტსმენები უმეტეს სახეობებში ჩამორჩენილი რომ არიან?

**ლეილა სუბელიანი.**
(„ლელოს" საკ. კორესპონდენტი).

# პირადშიც, გუნდურშიც...

**მინსკში** გამართულ „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე სპორტულ ტანვარჯიშში ჩვენი რესპუბლიკის ვაჟთა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. მრავალჭიდში, სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით მოასპარეზეებში III ადგილზე გავიდა თბილისელი კობა ნოდია, პირველთანრიგოსანთა შორის უძლიერესი იყო მისი თანაგუნდელი ვალერი ოგანეზოვი.

ტაიჭზე ვარჯიშში გამარჯვება და სპეციალური პრიზი მოიპოვა კობა ნოდიამ, იგი მეორე იყო რგოლებზე, მესამე — ბჯენით ხტომებში. მისმა თანაგუნდელმა კოტე ჩითინაშვილმა მესამე ადგილი დაიკავა ორძელზე ვარჯიშში.

**იუზა ონაშვილი.**

### თექვსმეტი ჩემპიონი

ბათუმში ჩატარდა საქართველოს პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში 1973-1974 წ. წ. დაბადებულთა შორის. შეჯიბრებაში 400-მდე ჭაბუკი სპორტსმენი გამოდიოდა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: მურად ნოზაძემ (რუსთავი), გიორგი ფრეწუაშვილმა (მარტყოფი), კახაბერ ხეცურიანმა (ქუთაისი), ზურაბ გაგუამ (მახარაძე), მამუკა ჭკუასელიძემ (ბორჯომი), რუსლან ჩხაიძემ (ბათუმი), იაგო ბოკუჩავამ (მახარაძე), ზურაბ ოქრომჭედლიშვილმა (თბილისი), დავით ხეცურიანმა (თბილისი), დავით დოლიძემ (მახარაძე), გოჩა ციციშვილმა (თბილისი), გრიგოლ ჭიჭვეიშვილმა (სამტრედია), ზაზა სილაგაძემ (თბილისი), გიორგი სალდაძემ (ქუთაისი), ლევან ცაბაძემ (რუსთავი) და ლევან ჯიმშელეიშვილმა (თბილისი).

### მოკლედ

**ზუგდიდი**

ამ დღეებში გაიმართა სპორტსაზოგადოება „დინამოს" ზუგდიდის საბჭოს 1987 წლის პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობის, წალენჯიხის, ცხაკაიას და ენგურჰესის გუნდები.

გათამაშება დამთავრდა ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილების ფეხბურთელთა გამარჯვებით. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ხობისა და ზუგდიდის საგამომძიებლო განყოფილების გუნდები.

**ჯემალ გოგია,**
გათამაშების მთავარი მსაჯი.

**ვანი**

რაიონის სოფელ ამაღლებაში ჩატარდა ტურისტული შეკრება-შეჯიბრება, რომელშიც ვანის, მაიაკოვსკისა და ჩოხატაურის გუნდები მონაწილეობდნენ. ყველას ვანის რაიონის სოფელ ზედა გორას რვაწლიანი სკოლის გუნდმა აჯობა.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**
„ლელოს" კორ.

# შრომის და სპორტის ზეიმი—ქოჩარაში

**დიდი** სოფელია ქოჩარა. კოლმეურნეობა „საქართველოს" მეჩაიეები ყოველ შემოდგომას ხელდამშვენებული ხვდებიან. წლეულს სოფლის მშრომელებმა გეგმიურზე 400 ტონით მეტი ჩაი მოკრიფეს. შრომაში გამარჯვება ქოჩარელებმა სპორტული ზეიმით აღნიშნეს.

სოფლის სტადიონის ტრიბუნები ოთხას მაყურებელს იტევს, მაგრამ იმ დღეს ათასზე მეტმა გულშემატკივარმა მოიყარა აქ თავი. შეჯიბრებები გაიმართა სირბილში, სიგრძეზე ხტომაში, სიმძიმეების აწევაში, ჭიდაობაში, ღერძზე აწევასა და ბირთვის კვრაში, მაგრამ შეკრებილთა ინტერესი მაინც ფეხბურთისკენ იყო მიმართული. კოლმეურნეობის 18 ბრიგადიდან 14-მა გამოიყვანა ფეხბურთელთა გუნდი. 20 დღის მანძილზე 46 მატჩი ჩატარდა. საუკეთესო ფეხბურთელისგან დაკომპლექტდა სოფლის ნაკრები გუნდი, რომელიც მალე ოჩამჩირის რაიონის პირველობაში მიიღებს მონაწილეობას, ასპარეზობაში ჩაებნენ ვეტერანი ფეხბურთელები: კოლმეურნეობის თავმჯდომარე, წარსულში აფხაზეთის პედაგოგიური ინსტიტუტის ნაკრები გუნდის მეკარე ხუტა ვექუა და აფხაზეთის პირველობის მონაწილე ჟორჟი ფიფია.

ამ რამდენიმე წლის წინათ სოფლის ცენტრალურ სტადიონზე სკოლის ასაშენებელი მასალა ეწყო. წლეულს, როგორც იქნა, სკოლის მშენებლობა დამთავრდა და სტადიონი გაასუფთავეს, განაახლეს. სოფელში დღესდღეობით ფეხბურთის 8 მინდორია. სოფლის თავკაცების და კოლმეურნეობის დახმარებით უახლოეს მომავალში ყველა ბრიგადას საკუთარი მოედანი ექნება.

**პირიბე გვარლიანი,**
„ლელოს" სპეც. კორ.
ოჩამჩირის რაიონი.

# „დინამოს" გზას ულოცავენ...

მოახლოვდა ბრემენის „ვერდერთან" თბილისის „დინამოს" პირველი მერვედფინალური მატჩი უეფა-ს თასზე. ამ დღეებში უამრავი წერილი მოდის რედაქციაში. „დინამოს" მეტად საპასუხისმგებლო მატჩის წინ ამხნევებენ და წარმატებას უსურვებენ მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები: დღეს რამდენიმე წერილს გაგაცნობთ:

## გაგვახარეთ თაყვანისმცემლები

ახლა, როგორც არასდროს, გუნდმა უნდა გამოავლინოს სპორტული ჟინი. „დინამოს" შესწევს უნარი და უნდა დაამტკიცოს კიდეც, რომ იგი, ქვეყნის წლევანდელ ჩემპიონატში უფერული გამოსვლის მიუხედავად კვლავ რჩება ერთ-ერთ საუკეთესო საფეხბურთო კოლექტივად.

თქვენ შეგიძლიათ საქართველო უზომოდ გაახაროთ!

**ვ. დოდელია,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.**

## ამონაწერები წერილებიდან

◉ 40 წელიწადია თქვენი გულშემატკივარი ვარ. „დინამოს" ბევრი, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო მატჩი ჩაუტარებია შემართებით და თავი არ შეურცხვენია. აბა თქვენ იცით ბიჭებო! (გერონტი ბოტკოველი, თბილისი).

◉ ჩვენ გვჯერა, რომ დინამოელები ყველაფერს გააკეთებენ წარმატების მოსაპოვებლად. გამხნევდით, გამაგრდით (ზუგდიდელი გულშემატკივრები).

◉ ჩვენ კიდევ ვოცნებობთ ისეთ ბედნიერებაზე, როგორიც 1981 წელს განვიცადეთ (ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავიდან მოსწავლეები ბესიკ თოდაძე, გია გუდავაძე და გაბო კალანდაძე).

◉ „დინამოს" ვეტერანი და ახალგაზრდა ფეხბურთელები დღეს ისეთ მეგობრულ კოლექტივად მიგვაჩნია, რომელსაც უნარი შესწევს აჩვენოს მაღალი კლასის ფეხბურთი, გამოავლინოს შესაშური ბრძოლისუნარიანობა (სულიკო ნიშნიანიძე — ქუთაისის მინის ტარის ქარხნის მუშა).

◉ რომ იცოდეთ როგორ გვახარებს თქვენი ყველა გამარჯვება. იმედია, ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის მატჩს „ვერდერთან" დიდი მონდომებით ჩაატარებთ (მიხეილ მაჭარაშვილი — ჯარისკაცი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა).

**გუშინ საღამოს, დილომში, საწვრთნელ ბაზაზე ვეწვიეთ „დინამოელებს". უფროსი მწვრთნელი გერმან ზონინი თავის სამუშაო ოთახში შეგვიძღვა და მაგიდაზე დახვავებული წერილები გვიჩვენა. ეს პირადად მწვრთნელს წერენ მოსკოვიდან, კუიბიშევიდან, კალინინიდან, სტავროპოლიდან, ბუდაპეშტიდან... და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან. უამრავი წერილები და დეპეშები მოდის თვით გუნდის, თითოეული ფეხბურთელის სახელზე. ყველგან ერთი საერთო სურვილია გამოთქმული — „დინამოს" წარმატება!**

## ღია წერილი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს

**თბილისის „დინამოს" მერვედფინალური შეხვედრის წინ, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" სატირისა და იუმორის კლუბმა „ილიკო და ილარიონმა" მიიღო წერილი თქვენთვის კარგად ნაცნობი მოხუცებისგან. წერილი ჩვენს რედაქციას გადმოსცა კლუბის ხელმძღვანელმა ზურაბ ასკანელმა.**

**აქამდეც** გვინდოდა მოგვეწერა, მაგრამ ბოლო დრომდე თქვენი თამაშის შემყურე, ვიცოდით, ვერ მოვითმენდით, სამდურავი არ გვეთქვა და ვიკავებდით თავს. იგიც საკმარისი იყო, ჩვენ რომ გვტკენდით გულს და თქვენთვისაც რომ გვეტკინა, რავა ვიზამდით მაგას. არ გეგონოთ დაგვივიწყოდეთ და არ გვეფიქროს თქვენზე. ვინ გვყავს სხვა კიდევ საფიქრალი...

ზურიკელაზე დარდი არ გვაწუხებს — ქალაქშია და არის მისდა, მშვენივრად. ვზივართ ორი ხრონცი ბერიკაცი პალატში, ზურგით ბუხარს ვეფიცხებით და ვუყურებთ ტელევიზორს. ამდენ „მოამბეებში" და „ახალ ამბებში" ზოგჯერ სასიამოვნოს გევიგონებთ რამეს — აგერ, პაატა ბურჭულაძეს გადაურევია ქვეყანა, იქით მოჭადრაკე ქალები ივაჟკაცებენ სადმე და მეტი კი არ გვინდა ჩვენ: დაგვეკიდება თვალზე სიხარულის კურცხალი...

მარა, თქვენ გამორჩეული ხართ მაინც! ტელევიზორში რომ ველოდებით თქვენს გამოჩენას, ბალნებივით ვცმუკავართ სკამზე. გამოჩნდებით, გაგვეხსნება გული, დაგვავიწყდება მთელი დღის საზრუნავი და აღარ არსებობს ქვეყანაზე არაფერი. ერთ ხანს შეგვირყიეთ რწმენა და ხალისი, მაგრამ, გაჩნდა, გვგონია, იმედის ნაპერწკალი.

ბიძია-დინამოელებო, გაახსენეთ, ხომ, ევროპას თავი, გახვედით, ხომ მერვედფინალში? ჰოდა, დაგვიბრუნეთ, აბა, ძველი სიხარული, გვაჩუქეთ კიდევ ერთი ცამეტი მაისი. თორემ, დავიღალეთ მარტო იმ ერთი დღის გახსენებით. კალენდარში 13 მაისი წითლად გვაქვს შემოხაზული და ვზეიმობთ ყოველ წელიწადს. ვერ მოვა იმ დღესთან ვერც კალანდა და ვერც ფერიცვალობა. თუმცა, რისი დღე... ღამე იყო მაშინ, მაგრამ, რომელი დღე შეედრება იმ ღამეს! ამ ხნის ბერიკაცები მოვიყარეთ და ასეთი საყოველთაო და უნაპირო ზღვა სიხარული არ გვინახავს მანამდე. დარჩენილი თითო თვალი დაგვეფსებოდეს, თუ ვტყუოდეთ!

ასეა, ბიძიებო, სიგიჟემდე უყვარხართ თქვენს ხალხს, როცა თქვენ გიჭირთ, მაგათ უფრო უჭირთ თორემ სად გაგიგონიათ სხვაგან ამდენი ინფარქტები სტადიონზე! ამ დროს რაღა ეგულშემატკივრებათ, თვითონ სახეზე ფერი მისდით და აქეთ არიან მოსაბრუნებლები? გვახსენდება: ერთ დროს ჩვენში მოტირალ ქალებს ქირაობდნენ. ისინიც ტიროდნენ გულგარეთ პატრონსნად... აბა სად შეუძლია ჰირისუფალს თავისი გრძნობის სახალხოდ გამოხატვა: დარდი ზოგჯერ ყელს უშრობს ადამიანს და უკან ჩაუბრუნებს ცრემლს. ჩვენ თუ გვკითხავენ, ტრიბუნაზე ის ხალხი უნდა იჯდეს, ვინც მანქანის მოგებისთვის არის მისული და თამაშს არ განიცდის.

გაზეთში აგერ ბალნებზე ეწერა „ვიქტორიასთან" თამაშის შემდეგ: „უცხო ფორმით გამოხატავდნენ გუნდის მხარდაჭერასო". უცხო ფორმით გამოხატავდნენ, აბა რას იზამდნენ, შინაური ფორმით რომ არ ასწავლა არიკაცმა. ბავშვს სახლში თუ არ ყავს ჭკუის დამრიგებელი, ქუჩიდან იღებს გლახა მაგალითს, ცნობილია მაგი.

შეურცხვა სიბერეს სახელი, თორემ თქვენს თამაშს რავა დავაკლდებოდით! რამდენჯერ ჩამოვსულვართ თბილისში ფეხბურთზე, რამდენჯერ თავზე დაგვთენებია ბილეთების რიგში და ღმერთმა ნუ დაგაჭირვოთ, თორემ ახლაც მზად ვართ თქვენს დასახმარებლად. არ გეგონოთ, ვინმეს დავაჩაგვრინოთ თქვენი თავი: „ლოკომოტივთან" და „ვიქტორიასთან" თამაშის შემდეგ ვაფრინეთ დეპეშა ფეხბურთის ფედერაციაში — თუ ხედავს უეფა, რას გვიშვებიან მსაჯებიძქვა. ეგება ჩააღწიოს თქვენს თამაშამდე, მაგრამ კი იცით თქვენ ჩვენი ფოსტის ამბავი და თუ შეატყოთ ბრემენში, რომ უსამართლოდ გექცევათ მსაჯი, დაგვიანებია ესე იგი დეპეშას და არ შედრკეთ, ბიძიებო. რა ისეთი ძნელი ამბავია, სამი კაცის გადმოყვანა შენს მხარეზე. კარგად და ლამაზად რომ ითამაშებ, შეიძლება კი მიუდგეს მსაჯი მოწინააღმდეგეს, მარა ნამეტანი რომ დაგჩაგროს, არ მისცემს სინდისი ამის უფლებას.

აგერ, ახლა არ იყო, „სპარტაკს" რომ ხვდებოდა თქვენი მეტოქე? ისე ფეხშეწყობილად და შეხმატკბილებულად თამაშობდნენ, რომელ მსაჯს მოუბრუნდებოდა სასტვენი პირში, მათთვის რომ დაესტვინა? ჰოდა, თქვენ თუ თქვენ ნებაზე ისე არონიებთ „ვერდერს", „სპარტაკი" რომ არონია „ვერდერმა", მსაჯიც ვერ გაგიბედავთ უპატრონოდ სიტყვის ამოღებას.

ოღონდ, არზიანივით თუ აპირებთ რომელიმე, გვითხარით წინასწარ და შევეგუებით ათი კაცის თამაშს თერთმეტის წინააღმდეგ.

ბიძია—მალხაზ, კი გეთამაშა უხეშად მოწინააღმდეგე, კი გამოგიწვია თვითონ, მარა წაქცეული კაცის წიხლით ცემა გაგიგონია? არ წერია ქართულ ადათში მაგი. უცხო კაცს რავა უნდა ათქმევინო, პაიჭაძე ამას არ იზამდაო! დაგვზაფრე ბერიკაცები: ორი კვირაა იმას ვდარდობთ მარცხენა მცველის ადგილზე რა უნდა ვქნათ ახლა.

ჰოდა, ითამაშეთ პატიოსნად და, დაგვიჯერეთ, არაა უსაშველო ჩვენი საქმე. აქეთ თუ გვაშინებენ „ვერდერით", იცოდეთ, იმათ უფრო ეშინიათ ჩვენი. თასის მფლობელი გუნდი ვართ, რაც არ უნდა იყოს, და რომ არ ვიყავით ჯერ, მაშინ გვყავს დამარცხებული „ბენფიკა" და „ლივერპული".

ასეა, ბიძიებო. აგი ერთი კაკალ გუნდი გვყავხართ. და თქვენ მოგჩერებივართ. რა გიჭირთ, მარტო ჩვენ რომ ვიყოთ: მთელი საქართველო შემოგყურებთ ღელვითა და სასოებით და ელოდება 25 ნოემბერს. ჰოდა თქვენ იცით, აბა, თუ არ გაგვაწბილებთ და ისე არ ჩაგვიყვანთ საფლავებში, ერთ დიდ ევროპულ თასს კიდევ არ გვაღირსებთ!

**თქვენი ილიკო და ილარიონი.**

## უეფა-ს [illegible] გამო

ევროპის ქვეყნების ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია ამას წინათ დააჯარიმა იმის გამო, რომ არადამაკმაყოფილებლად იყო ორგანიზებული ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და რუმინეთის გუნდებს შორის, ეს მატჩი კი 28 ოქტომბერს შედგა გორში.

რედაქცია, რა თქმა უნდა, დაინტერესდა თუ რაში მდგომარეობდა ეს არაორგანიზებულობა. დადგინდა, რომ მატჩის ინსპექტორმა თავის პატაკში საგანგებოდ აღნიშნა შემდეგი: გორის სტადიონზე სამსაჯო ოთახი მეტად პატარაა, მოუწყობელია და არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

მართლაც, გორის სტადიონის სამსაჯო ოთახი ისე მცირე და მოუწყობელია, რომ არა თუ საერთაშორისო, რესპუბლიკურ სტანდარტებსაც კი არ შეესაბამება. II ლიგის საკავშირო მატჩებში, რომლებსაც გორის „დილა" ამ სტადიონზე ატარებს, ოთახი თამაშის მომსახურე სამ მსაჯსაც ვერ აუდის და საკმარისია აქ გუნდების წარმომადგენლები, ან სხვა ოფიციალური პირები შევიდნენ, რომ ფეხზე გასაჩერებელი ადგილიც არ რჩება. ცხადია, ინსპექტორისთვის ეს უჩვეულო ამბავი იყო, მანაც თავისი უკმაყოფილება გამოთქვა უეფა-ს მისამართით გაგზავნილ პატაკში.

გორის სტადიონი, რომელიც ქალაქის შუაგულში, ლამაზ პარკშია მოთავსებული, საფუძვლიან რეკონსტრუქციას და გადახალისებას საჭიროებს. აქ ყოვლად აუტანელი სანიტარული პირობებია, ტრიბუნებს ქვეშ ნესტი დგას, ტრიბუნებზე მაყურებელთა დასაჯდომებიც ვერაა წესრიგში. იქნებ დადგა დრო და საქართველოს სპორტსახკომმაც შემოიღოს მკაცრი სანქციები იმ სტადიონების მიმართ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საერთო მოთხოვნებს. ბოლოს და ბოლოს უნდა შევეჩვიოთ იმას, რომ ჩვენს სტადიონზე ყველაფერი წესრიგში იყოს. წესრიგიც ხომ კულტურის მაჩვენებელია.

### საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის: „კახეთი" (თელავი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 4:1, „ეგრისი" (ცხაკაია) — „იმედი"-„დინამო"-2 (თბილისი) 3:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სულორი" (ვანი) 3:

# ფეხბურთი და ციტრუსები

ქართულ ფეხბურთს წელს რომ უჭირდა, ასე არასდროს გაჭირვებია, მაგრამ ახლა სულ სხვა გვაქვს სათქმელი...

ალბათ, ყველას ახსოვს, შარშანწინ სეზონის ბოლოს რომ ქუთაისის „ტორპედომ" ზედიზედ ქულები აიღო, განგაში ატყდა, „რაღაცა" ხდებაო, „გურიას" უმაღლეს ლიგაში გადასვლასაც ეჭვით შეხვდნენ. ახლა კი... ნახეთ, რას წერს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" სპეციალური კორესპონდენტი გ. შვეცი წერილში „იოლად გავიდეთ უდეტექტივოდ?" (10 ნოემბერი, 1987 წ.). ოდესაში ფეხბურთის ვიღაც გულშემატკივარს უთქვამს, „ჩერნომორეცს" 50 ათასს აძლევენ, რომ თამაში წააგოსო. კორესპონდენტს ერთი კი უფიქრია, ოდესელებმა გადაჭარბება იციანო, მაგრამ შემოწმება მაინც საჭიროდ მიუჩნევია. ვერც გაამტყუნებ, რადგან ფეხბურთის ერთ პროფესიონალსაც უთქვამს: „ჩერნომორეცი" წააგებს ბათუმის „დინამოსთან" და ქუთაისის „ტორპედოსთანო". „პროფესიულ" პროგნოზს ჟურნალისტი უმატებს: „ეს სიუჟეტი საკმაოდ ცნობილია ჩვენს ფეხბურთში: ზოგიერთი სამხრეთული გუნდი, მთელი სეზონის მანძილზე სატურნირო ცხრილის ქვედა საფეხურებზე რომ ძიგძიგებს, უცბად, ციტრუსოვანთა მომწიფების პერიოდში, იწყებს ელვისებურად ქულების მოგროვებას, თითქოს, აქამდე ვიტამინების უკმარობით იყო გატანჯული და ბოლოს უხვად აინაზღაურაო. ნუთუ „ჩერნომორეცი" ვერ გაუძალიანდება ამ სტიქიას? მე ჩავედი ოდესაში".

ხედავთ, თურმე, რა სტიქია ემუქრება სამხრეთიდან საერთოდ ფეხბურთს? ციტრუსების სტიქია! ჩვენი ფეხბურთის გადასარჩენად სამხრეთული სტიქიისაგან (ამ შემთხვევაში კონკრეტულად ლაპარაკია ბათუმის „დინამოზე" და ქუთაისის „ტორპედოზე". ვაპატიოთ წერილის ავტორს, მისთვის ქუთაისიც და უმგულიც სუბტროპიკულ ზონაშია!) ოდესაში სპეციალურად ჩადის ჟურნალისტი. ეტყობა, გადაარჩინა! თუმცა, ვერაფერი გაიგო: ვიღაც ტიპები დადიოდნენ ფეხბურთის კულუარებში, ერთი რომ ოთახში შევიდოდა, მეორე კარებთან იდგა და მე არ მიშვებდნენო. თუმცა, „მხოლოდ ერთხელ მოვისმინე დასკვნითი ფრაზა, რომლითაც მიმართეს „ჩერნომორეცის" უფროს მწვრთნელს ანატოლი პოლოსინს: „როგორი ბრიყვიც იყავით, ისეთი დარჩებითო".

და თავისუფლად ამოისუნთქა კორესპონდენტმა, მიხვდა, რომ რაკი ვიღაცამ ა. პოლოსინი ბრიყვად მიიჩნია, „ჩერნომორეცი" გაუძლებდა სამხრეთულ სტიქიას! „ჩერნომორეცმა" გაიმარჯვა „დინამოსთანაც" და „ტორპედოსთანაც". სად გამოგვეყო თავი, ეს რომ არ მომხდარიყო? მიდი და ამტკიცე მერე, რომ „ჩერნომორეცმა", რომელსაც უკვე განაღდებული ჰქონდა უმაღლესი ლიგა, ვერ შეძლო ფსიქოლოგიურად მომზადებულიყო მატჩისათვის და წააგო გუნდთან, რომელიც სულ ერთი წლის წინ უმაღლეს ლიგაში თამაშობდა და, წარმოიდგინეთ, ციტრუსების დამწიფებამდე უმაღლესი ლიგის გუნდებს, მათ შორის „ჩერნომორეცსაც" ხანდახან უგებდა!

მაგრამ, კორესპონდენტის, იღბლად ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც მას სურდა. მაშ რაღაა სათქმელი?

აი, თურმე, რა დარჩა კიდევ სათქმელი სპეციალურ კორესპონდენტს, რომელმაც, როგორც პროფესიონალ დეტექტივს ეკადრება, კანონები იცის: „მაგრამ ხელი არავისთვის ჩაუვლიათ, რწმუნებულ ამხანაგებსაც ჯერ არც კი უცდიათ რამე. ასე რომ, ჟურნალისტს ისღა დარჩენია, აღწეროს მოვლენის გარეგანი ნიშნები და მოგვითხროს ვიზუალური დაკვირვებები".

და, როგორ არ ვთქვა: ამ ბოლო ხანებში ზოგიერთი ჟურნალისტი რაღაც ძალიან „ვიზუალურად" აკვირდება ჩვენს ციტრუსებს, ზოგს ერთობ ეპატარავება, ზოგი კი მაგიურ თვისებებს მიაწერს.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჩვენს ფეხბურთში ხდებოდა გარიგებები, მაგრამ რა შუაშია სამხრეთი და ციტრუსები? ფეხბურთისათვის უკადრისი დარღვევები ხომ სხვაგანაც ხდება. ასე რომ, სამხრეთი არაფერ შუაშია და ციტრუსები არაფერი დასაცინია. პრინციპების სიწმინდისათვის ყველამ უნდა ვიბრძოლოთ — სამხრეთმაც და ჩრდილოეთმაც.

**რომან მიმინოშვილი.**
**პროფესორი.**

**რედაქციისაგან:** ვაქვეყნებთ რა პროფესორ რომან მიმინოშვილის საპასუხო წერილს, ჩვენი მხრივ გვინდა დავძინოთ, რომ საქართველოში დაუნდობლად, ხაჯაროდ ვებრძვით ფეხბურთში მომხდარ ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენას, რეაგირების გარეშე არ ვტოვებთ არც ერთ დარღვევას, მაქინატორობას, უხეშობას, თვალის ახვევის ფაქტებს. ამ შეურიგებელ ბრძოლაში საქართველოს სპორტსახკომს, ფეხბურთის ფედერაციას და ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას მხარში უდგას რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც, არავინ მალავს ჩვენი ფეხბურთის ნამდვილ სატკივარს. ქუთაისის „ტორპედოს" შესახებ „ლელოში" არაერთი კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა და საინტერესოა, რომ ზუსტად იმ დღეს, როცა „კომსომოლსკაია პრავდაში" გ. შვეცის წერილი დაიბეჭდა, ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით „ეს მარტო „ტორპედოს" სატკივარი არაა!", სადაც შევეცადეთ უბოდიშოდ, ძალზე მწვავედ გვემსჯელა ქართული ფეხბურთის გადასაჭრელ პრობლემებზე.

პრესას საერთო მიზნები, საერთო პრობლემები ამოძრავებს, ეს მიზნები უშუალოდ საბჭოთა ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარეობს და ჩვენი კრიტიკაც ისეთივე ხალასი და წმინდა უნდა იყოს, როგორი წმინდა და ხალასიც გვინდა ვიხილოთ ჩვენი საბჭოთა ფეხბურთი.

დასასრულ გვინდა ერთი ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ — საკდესის ოფიციალურმა საფეხბურთო მიმომხილველმა სულ ახლახან აღნიშნა შემდეგი: „ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა ო. პროტასოვი („დნეპრი"), რომელმაც 18 ბურთი გაიტანა, თანაც, 4 მათგანი ბოლო ორ მატჩში. საინტერესოა, რომ წლეულს პირველი სეზონი არაა, რაც ეს თავდამსხმელი სწორედ ფინიშზე გამოირჩევა ასე შესაშური შედეგიანობით. ასე იყო, მაგალითად, მაშინაც, როცა მან 35 ბურთი გაიტანა და ერთი ბურთით გადააჭარბა განთქმული ნ. სიმონიანის რეკორდს. გასაკვირველი კანონზომიერებაა!"

მაშ რა ვქნათ, ჩამოვართვათ ო. პროტასოვს წლევანდელი ჩემპიონატის ბომბარდირის წოდება? რა საფუძველი გვაქვს? საფეხბურთო კულისებში თუ მართლა რაიმე ხდება, ამას უფრო ღრმად უნდა დავუძებნოთ მიზეზები.

# ყველაზე სტაბილური

დასასრული

„პატივს ვცემ სპორტის ყველა სახეობას, ყველა სპორტსმენს, ვინც ასახელებს ქვეყანას, ერს, ვისაც მსოფლიო სარბიელზე გააქვს ქართული სპორტის დიდება. მაგრამ რატომ ხდება, რომ სპორტის იხედაც აღიარებულ სახეობებს — ფეხბურთს, ჭადრაკს, კრივს, კალათბურთს პრესაში გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე სხვებს? ჩემთვის სამაგალითოა სპორტის დამსახურებული ოსტატი, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული თამაზ იმნაიშვილი.

ყველა თაყვანისმცემლისა და გულშემატკივრის სახელით გამოვთქვამ სურვილს, რომ მან ღირსეული ადგილი დაიკავოს წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულში"...

„ვწერთ ფიზკულტურის მასწავლებელი, ამჟამად ორი შვილის დედა. ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის დროს ბევრი ლექტორი მყავდა, მაგრამ ერთი მაინც განსაკუთრებით დამამახსოვრდა. ეს იყო თამაზ იმნაიშვილი, რომელიც სულ ერთი სემესტრი გვასწავლიდა, მანამდე სპორტის ამ სახეობასთან საერთო არაფერი მქონია. სწორედ თამაზის გაცნობის შემდეგ დავინტერესდი სროლით და ახლაც ყურადღებით ვადევნებ თვალს შეჯიბრებებს. ჩემი ათი წლის ბიჭი გიორგი გაზეთში ან ტელევიზორში მის გვარს რომ წაიკითხავს და გაიგონებს, გახარებული მორბის: შენი კარგი ლექტორიაო. ძალიან მინდა ჩემი შვილი სროლაზე მივიყვანო, ასე მგონია თუ სროლაზე ივლის, ისიც კარგი სპორტსმენი და კარგი ადამიანი დადგება. დღეს ალბათ არავის უკვირს სპორტსმენთა წარმატებები, მაგრამ ადამიანს ყველანაირი ტიტული გქონდეს და მაინც ასე თავმდაბალი, პატიოსანი, კეთილი, ზრდილობიანი, ერთი სიტყვით, ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი იყო — ადვილი არ არის. ინსტიტუტში ცნობილი სპორტსმენი ლექტორიც ბევრი გვყავდა და სტუდენტიც, მაგრამ თამაზი მაინც გამოირჩეოდა. არასოდეს დაგვავიწყდება მისი ღიმილი და დაკვირვებული მზერა. ყველას ძალიან გვიყვარდა.

ჩემი ძალიან დიდი სურვილია თამაზ იმნაიშვილი საუკეთესო სპორტსმენების რიცხვში დაასახელოთ. მე ისიც მინდა, რომ პირველი იყოს, მაგრამ ამას სხვები გადაწყვეტენ. ჩემი ოჯახის თხოვნაა თამაზ იმნაიშვილს ღირსეული ადგილი მიუჩინოთ" — გვწერს თბილისელი ნუნუ არაბიძე.

**მართლაც** მეტად სასიამოვნოა, ასეთ „დამამტკიცებელ საბუთს" რომ მიიღებ, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს სახელოვანი სპორტსმენის შესახებ არსებულ აზრს. თამაზ იმნაიშვილმა, როგორც ყოველთვის, ამ სეზონშიც დიდი სპორტული წარმატებები მოიპოვა. აი რას გვწერენ თბილისელი გიორგი, ლაშა და თამარ თიკანაძეები:

„გეხმაურებით თქვენს თხოვნაზე დავასახელოთ წლის ათი საუკეთესო სპორტსმენი. ჩვენი ოჯახის აზრით, მათ შორის უნდა იყოს მსროლელი თამაზ იმნაიშვილი. მან არანაკლებ გაუთქვა სახელი საქართველოს, ვიდრე მოჭადრაკეებმა, მოჭიდავეებმა და სხვა სპორტსმენებმა. თქვენ გაზეთშიც ხომ აღნიშნეთ მისი უიშვიათესი სტაბილურობა".

თამაზ იმნაიშვილი მართლაც იშვიათი სტაბილურობისა და, რასაკვირველია, უმაღლესი ოსტატობის გამო ფავორიტად ითვლება ნებისმიერი რანგის ასპარეზობაზე. გავიხსენოთ თუნდაც ევროპის თასის გათამაშება სტამბულში, სადაც ჩვენი ქვეყნის ნაკრებს გამარჯვებისათვის ბოლო სერიაში პაერივით სჭირდებოდა მაქსიმალური შედეგი — 25 ქულა. თამაზ იმნაიშვილმაც არ გააწბილა თანაგუნდელები, გავიხსენოთ მისი გამარჯვება გუნდთან ერთად მოსკოვში, მსოფლიო თასის გათამაშებაში. კარგად გვახსოვს სეულში მსოფლიო თასისთვის ბრძოლისას მომხდარი დასანანი შემთხვევაც, როცა მსაჯების შეცდომის გამო ქართველმა მესტენდურემ საპატიო ჯილდო დაკარგა და ვერცხლის მედალი მიიღო. კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლება. თამაზ იმნაიშვილი ხომ, როგორც წესი, ყოველ სპორტულ სეზონს წარმატებათა გრძელი რიგით ამთავრებს.

დღევანდელი წერილი კი გვინდა კვლავ მკითხველის, კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მარინე ცეკვავას წერილით დავამთავროთ:

„ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ქართული სპორტის ქომაგი ვარ. მადლიერები ჩვენი სპორტსმენების ყოველი წარმატება. ახლახან ქართული სპორტის ყველა გულშემატკივარი გაგვახარა თამაზ იმნაიშვილის წარმატებამ. მე ტელევიზიით ვნახე ინტერვიუ ჩვენს მსროლელთან. უნდა გითხრათ, ადრეც დიდ სიმპათიას ვგრძნობდი ამ სპორტსმენის მიმართ. ახლა ისიც დავინახე, რომ თამაზ იმნაიშვილისთვის, წარმატებებს თავბრუ არ დაუხვევია. პირიქით, მას შესწევს უნარი მშვიდად, საკუთარი ძალების მტკიცე რწმენით მიუტევოს სხვებს შეცდომა. ეს ალბათ მისი მაღალი პროფესიონალიზმით, სპორტის ამ სახეობისადმი დიდი სიყვარულით და კაცთმოყვარეობით აიხსნება.

ტრადიციულად წელსაც დაასახელებთ რესპუბლიკის ათ საუკეთესო სპორტსმენს. ჩემი აზრით, თამაზ იმნაიშვილი ათეულის ლიდერობის ღირსია".

მკითხველთა წერილების მიხედვით მასალა მოამზადა **გიორგი ჩოჩიშვილმა.**

## ევროპის ჩემპიონატი

**დასასრულს უახლოვდება ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები საკვალიფიკაციო ჯგუფებში.**

### I ჯგუფი

კიდევ ერთი გუნდი შეემატა ფინალისტთა რიგებს. განვლილ ოთხშაბათს I ჯგუფში გაიმართა ორი მატჩი: ესპანეთი — ალბანეთი და ავსტრია — რუმინეთი.

სევილიის სტადიონზე შეკრებილი 50 ათასი მაყურებელი აღფრთოვანებით მიესალმა ესპანელთა წარმატებას ალბანეთის გუნდთან შეხვედრაში — 5:0, ბურთები გაიტანეს ბაკერომ-3, გონზალესმა და ლორენტემ, ხოლო რუმინელებმა ვენაში ფრეს მიაღწიეს ავსტრიის ნაკრებთან შეხვედრაში — 0:0.

I ჯგუფში გათამაშების საბოლოო ცხრილი ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 14-6 | 10 |
| რუმინეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-3 | 9 |
| ავსტრია | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 5 |
| ალბანეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-17 | 0 |

### III ჯგუფი

საფრანგეთის ნაკრებმა პარიზში, ანგარიშით 0:1 წააგო შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან. ეს ერთადერთი გოლი თამაშის ბოლო წუთზე გაიტანა შემცვლელად გამოსულმა რაინერ ერნსტმა. „პარკ დე პრენსის" სტადიონზე მოსულმა 20 ათასმა მაყურებელმა სტვენით გააცილა მინდვრიდან საფრანგეთის ნაკრები, რომელიც ახლა იმ ძველი გუნდის აჩრდილიც კი არაა, კონტინენტის ჩემპიონობა რომ ჰქონდა მოპოვებული.

III ჯგუფის საბოლოო მდგომარეობა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 8 | 5 | 3 | 0 | 14-3 | 13 |
| გდრ | 8 | 4 | 3 | 1 | 13-4 | 11 |
| საფრანგეთი | 8 | 1 | 4 | 3 | 4-7 | 6 |
| ისლანდია | 8 | 2 | 2 | 4 | 4-14 | 6 |
| ნორვეგია | 8 | 1 | 2 | 5 | 5-12 | 4 |

ამრიგად, ევროპის ჩემპიონატის ფინალში გამოვლენ შემდეგი გუნდები: გფრ, სსრ კავშირი, იტალია, ინგლისი, დანია, ირლანდია, ესპანეთი. დარჩა მხოლოდ ერთი სავაკანსიო ადგილი, მერვე ფინალისტი გაირკვევა 16 დეკემბერს ათენში, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან საბერძნეთისა და ჰოლანდიის გუნდები.

## ფედერაციის თასი — „სპარტაკს"

მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელებმა წლეულს კიდევ ერთ წარმატებას მიაღწიეს, მათ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასიც მოიპოვეს, ამ გათამაშების ფინალში სპარტაკელები მოსკოვის „ოლიმპიურის" სპორტკომპლექსში ხარკოვის „მეტალისტს" შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1. სპარტაკელთაგან ბურთები გაიტანეს ე. კუზნეცოვმა, ჩერენკოვმა, პასულკომ და შმაროვმა, ხარკოველთაგან — ენეიმ.

## ოლიმპიურ სარბიელზე

მომავალი ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის IV ევროპულ ჯგუფში ფრედ ითამაშეს თურქეთისა და ნორვეგიის გუნდებმა — 0:0.

სატურნირო მდგომარეობა სადღეისოდ აქ ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 5 | 4 | 1 | 0 | 8-2 | 9 |
| შვეიცარია | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 6 |
| ნორვეგია | 8 | 0 | 5 | 3 | 1-7 | 5 |
| ბულგარეთი | 5 | 1 | 2 | 1 | 5-2 | 4 |
| თურქეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 4 |

გაიმართა ოლიმპიური ტურნირის სხვა შესარჩევი შეხვედრებიც: დანია — გფრ 0:1, ირლანდია — საფრანგეთი 3:0, იტალია — გდრ 1:1, ესპანეთი — უნგრეთი 1:0.

• • •

**21 ნოემბრიდან** 2 დეკემბრამდე ჩვენი ოლიმპიელი ფეხბურთელები საკონტროლო შეხვედრებს ჩაატარებენ ალჟირსა და ტუნისში. საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. ბიშოვეცმა მიიწვია შემდეგი ფეხბურთელები. მეკარეები: დ. ხარინი („ტორპედო", მოსკოვი), ა. პრუდნიკოვი („დინამო" მოსკოვი), მცველები: ვ. ლოსევი, ი. სკლიაროვი („დინამო" მოსკოვი), ა. ჩერედნიკი („დნეპრი" დნეპროპეტროვსკი), ს. ფოკინი, დ. კუზნეცოვი (ცსკა), შუა ხაზის და თავდასხმის მოთამაშეები: ა. მიხაილიჩენკო („დინამო" კიევი), ვ. ტიშენკო, ი. ლიუტი („დნეპრი" დნეპროპეტროვსკი), ა. მოსტოვოი, ე. კუზნეცოვი („სპარტაკი" მოსკოვი), ი. დობროვოლსკი, ი. კოლივანოვი („დინამო" მოსკოვი), ვ. ტატარჩუკი (ცსკა), ს. დმიტრიევი („ზენიტი" ლენინგრადი), ა. ნარბეკოვასი, ი. ბარანაუსკასი („ჟალგირისი" ვილნიუსი), ი. სავიჩევი („ტორპედო" მოსკოვი).

## ფრე ბუდაპეშტში

ბუდაპეშტში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში, ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. თამაშის მსვლელობაში ტერიტორიული უპირატესობა დასავლეთგერმანელ ფეხბურთელებს ჰქონდათ, მიმომხილველებმა აღნიშნეს უნგრელთა სუსტი თამაში. მიუხედავად ამისა, სტუმრებმა წარმატებას მაინც ვერ მიაღწიეს — 0:0.

## მკითხველი — გაზეთი

### მეტოქის მინდორზე გატანილი ბურთების წესი დამატებით დროშიც ძალაშია

**ჩვენმა** რედაქციამ ბოლო ხანებში მკითხველთა რამდენიმე წერილი მიიღო, სადაც ფეხბურთის მოყვარულებს აინტერესებთ ერთი საკითხი: რა შემთხვევაში ეძლევა მასპინძლებს უპირატესობა უეფა-ს ტურნირებში, როცა საპასუხო შეხვედრაში დამატებითი დროის შემდეგ მეტოქეებს გატანილი და მიღებული ბურთების ერთნაირი შეფარდება აქვთ? უფრო კონკრეტულად:

ფეხბურთის მოყვარული ნოდარ თეხეიშვილი მახარაძიდან გვწერს: „როგორც იცით, 3 ნოემბერს მოსკოვის „სპარტაკს" უეფა-ს თასზე სტუმრად ჰქონდა მატჩი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ბრემენის „ვერდერთან". როდესაც თამაშის დამატებითი დროის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, ანგარიში იყო 5:2 „ვერდერის" სასარგებლოდ. მატჩი რომ ასე დამთავრებულიყო, გავიდოდა თუ არა მოსკოვის „სპარტაკი" გათამაშების შემდგომ ეტაპზე?".

გულშემატკივართა ჯგუფი (ტ. ბადრიძე, ა. გაგუა, თ. ბიბილეიშვილი, დ. არჩვაძე, ე. ყანჩაველი, ვ. უსტიაშვილი) გვეკითხება: „მოსკოვის „სპარტაკისა" და „ვერდერის" მატჩის დამატებითი დრო ფრედ რომ დამთავრებულიყო, რომელი გუნდი გავიდოდა გათამაშების შემდგომ ეტაპზე? გთხოვთ გაგვიმარტოთ, მეტოქის მინდორი დამატებით დროში ნეიტრალურ მინდვრად ითვლება თუ არა?".

მართალი გითხრათ, ამ საკითხზე უეფა-ს ოფიციალური განმარტება არა გვაქვს, საფეხბურთო პრესაში კი კონკრეტული, დაზუსტებული მითითებანი ბოლო ხანებში არ გამოქვეყნებულა. ასეთივე შეკითხვებით მიმართეს ფეხბურთის მოყვარულებმა გაზეთ „სოვეტსკი სპორტსაც", კერძოდ, იქ ასეთი მაგალითი მოჰყავთ: „სპარტაკს" დამატებით დროში კიდევ ერთი ბურთი რომ გაეტანა და „ვერდერს" ანგარიშით 6:3 გაემარჯვა, დაინიშნებოდა მატჩისშემდგომი დამატებითი პენალტები, თუ მერვედფინალში სპარტაკელები უშუალოდ გავიდოდნენ, ვინაიდან 2 მატჩის შედეგად გატანილი და მიღებული ბურთების თანაფარდობისას მათ მეტოქის მინდორზე მეტი გატანილი გოლი ექნებოდათ.

„სოვეტსკი სპორტმა" შეკითხვით მიმართა უეფა-ს შტაბბინას ბერნში, საიდანაც ასეთი პასუხი მიიღო:

„მეტოქის მინდორზე გატანილი ბურთების წესი ძალაშია დამატებით დროშიც. მატჩი ბრემენში რომ დამთავრებულიყო ანგარიშით 6:3 „ვერდერის" სასარგებლოდ, ორი მატჩის ჯამში საერთო შედეგი იქნებოდა 7:7 და გათამაშების შემდგომ წრეში გავიდოდა „სპარტაკი", რომელსაც სტუმრად მეტი ბურთი ექნებოდა გატანილი".

ამრიგად, უეფა-ს პასუხი ნათელია: დამატებით დროში გატანილი ბურთები გუნდს უპირატესობას აძლევს.

## პირველი დამარცხება

საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები, რომელიც ამხანაგურ შეხვედრებს ატარებს აშშ-ს ქალაქებში, ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ ლას-ვეგასში (ნევადას შტატი), დამარცხდა არიზონის უნივერსიტეტის გუნდთან — 86:93.

გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ჯერალდ პადისი იყო (29 ქულა), საბჭოთა ნაკრებში კი ტარაკანოვი (21) და მარჩიულენისი (17).

## მატჩი რომში

შაბათს 21 ნოემბერს რომში ჩატარდება ტრადიციული მატჩი იტალიაში მოთამაშე უცხოელ ვარსკვლავთა ნაკრებ გუნდებს შორის. უძლიერესი დივიზიონის მოთამაშეებისაგან დაკომპლექტდება პირველი ნაკრები, რომლის მეტოქე იქნება მეორე ეშელონში მოთამაშე უცხოელთა გუნდი. ვარაუდობენ, რომ პირველ გუნდში გამოვლენ: მაკადუ, ტომპსონი, ჯონსონი, რუნდფელდი, ოსკარ შმიტი, დალიპაგიჩი, ალ. პეტროვიჩი. მეორეში — რაიტი, გოლდველი, სინგლეტონი, რეილი, ლანდსბერგერი, მარსელ დე სოუზა, ნაკიჩი და სხვები.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 21 ნოემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში (გადმოცემა ესენიდან) — **15.55 (1);** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში — **20.45 (1).**

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 22 ნოემბერი.** ასკ-ს სტადიონი. **„იმედი"-„დინამო"-2 (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია).** დასაწყისი 13 ს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

## „ლელოს" მკითხველებს

რედაქციაში ბევრი წერილი მოდის იმათგან, ვინც დროზე ვერ გააფორმა ხელმოწერა ჩვენს გაზეთზე, ან ხელმოწერის ვადების გასვლის შემდეგ გაუჩნდა სურვილი გამოიწეროს „ლელო".

გუშინ დავუკავშირდით „სოიუზპეჩატის" რესპუბლიკურ სამმართველოს, საიდანაც გვაცნობეს, რომ ხელმოწერა ამ დღეებში კვლავ გრძელდება, ოღონდ ხელმომწერი გაზეთს მიიღებს 1988 წლის 1 თებერვლიდან.

რედაქცია მკითხველებს აგრეთვე აუწყებს, რომ წერილების სერიის გამოქვეყნება საერთო სათაურით — „იოგა ჯანმრთელობის სამსახურში", 1988 წლის პირველ ნახევარშიც გაგრძელდება.

21-22 ნოემბერს თბილისში, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართება ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. ერთმანეთს შეხვდებიან: ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კალევი" (ტალინი). შეხვედრების დასაწყისი 18 ს.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66436**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08108